

გიორგი მირიანაშვილი

სამართლებრივი ვაკუუმისა და საკანონმდებლო ხარვეზის პრობლემა საქართველოს სამართლებრივ მართლწესრიგში

გიორგი მირიანაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
მე-4 კურსის სტუდენტი.

აბსტრაქტი

დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების ერთ-ერთ უძირითადეს, ფუძემდებლურ მოთხოვნას წარმოადგენს ქვეყნის საკანონმდებლო ბაზის იმგვარი ჰარმონიზება, რომ სამართლებრივი მართლწესრიგი იყოს ჯანსაღი, ქმედითი და პრაქტიკული. თუმცა სამართალშემოქმედებითი საქმიანობის კომპლექსურობისა და მასშტაბურობის, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სფეროების დინამიკური განვითარების გათვალისწინებით, რიგ შემთხვევებში ნორმატიულ აქტებში ადგილი აქვს საკანონმდებლო ხარვეზს. გარდა საკანონმდებლო ხარვეზისა, შიდასახელმწიფოებრივ სამართალში არსებობს სამართლებრივი ვაკუუმი, რომელიც თავისი არსით უფრო ნეგატიური, უარყოფითი შედეგების მომტანია, ვიდრე საკანონმდებლო ხარვეზი.

წინამდებარე სტატიის მიზანია: 1. ნორმატიულ აქტებში საკანონმდებლო ხარვეზისა და სამართლებრივი ვაკუუმის კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჭრილში განხილვა; 2. მათი ურთიერთგამიჯვნა ურთიერთშედარების გზით; 3. თითოეულის გამომწვევი მიზეზების ილუსტრაცია და 4. მათი აღმოფხვრის სამართლებრივი გზების ძიება.

მოცემული სტატიის ფარგლებში სამართლებრივ ვაკუუმზე მსჯელობა ეყრდნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 დეკემბრის #494-ე განჩინებას. ამ კონკრეტული მაგალითის საფუძველზე, სტატიაში განხილულია ნორმატიული აქტის ცნება, დამახასიათებელი თვისებები, მისი როლი და ფუნქცია სამართლებრივ აქტთა სისტემაში. პარალელურად გათვალისწინებულია ჩეხეთის, ლიტვის, ნიდერლანდების, ხორვატიის, სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოთა მიდგომა საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ ხსენებულ განჩინებაში წამოჭრილ ანალოგიურ საკითხთან დაკავშირებით.

სტატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, რომ სამართლებრივი ვაკუუმის აღმოფხვრა ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციურ გარანტიად წარმოაჩინოს. რომელიმე სამართლებრივი სფეროს ღიად, დაურეგულირებლად დატოვებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას იმგვარი ფუნდამენტური ღირებულებების უზრუნველყოფას, როგორცაა ადამიანის ძირითადი უფლებები. ის, რომ მსგავსი სამართლებრივი მდგომარეობა სახელმწიფოს მოქმედების ვალდებულებას იწვევს, უდავოა.

სტატიაში საკანონმდებლო ხარვეზზე მსჯელობისას ყურადღება გამახვილებულია საკანონმდებლო და სამართლებრივ ხარვეზებს შორის სხვაობაზე და კანონმდებლის სამართლებრივ-პოლიტიკურ შეცდომაზე, რაც ასევე განსხვავდება საკანონმდებლო ხარვეზისგან და სამართლებრივი ვაკუუმისგან.

ნაშრომში შემოთავაზებულია სამართლებრივი ვაკუუმის შევსებისა და არსებული ვითარების „გაჯანსაღების“ ის სამართლებრივი ბერკეტი, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააჩნია. თუმცა მის პრაქტიკულ გამოყენებას ადგილი არასდროს ჰქონია. რაც შეეხება საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორებისა და სამართლებრივი სივრცის სრულყოფილების გზების ძიებას, ყურადღება მიმართული იქნება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებულ კომპეტენციაზე.

1. შესავალი

საქართველო, როგორც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო ღირებულებების ახალბედა, თუმცა აქტიური მხარდამჭერი, ცდილობს საკუთარი სამართლებრივი მართლწესრიგი განავითაროს თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებაში არსებულ გამოცდილებაზე, პრაქტიკაზე დაყრდნობით და მაქსიმალურად აინაზღაუროს ის დანაკლისი, რაც მას საბჭოთა კავშირმა, კომუნისტურმა იდეოლოგიამ მოუტანა. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესი ფუნქცია და როლი აკისრია ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც სამართალშემოქმედების სულისჩამდგმელი და მწარმოებელია. სამართალშემოქმედებაში, ისევე როგორც საზოგადოებრივი მმართველობის სხვა სფეროებში არაკომპეტენტურობა, ბრმა მიმბაძველობა, საკითხების გადაწყვეტის მეცნიერული და პრაგმატული მიდგომების არასაკმარისი ფლობა არის მტერი, რომელსაც შეურიგებლად უნდა ებრძოლოს საზოგადოება. ამ სფეროში დაშვებული შეცდომების ფასი ძალიან ძვირია, რომელსაც მოჰყვება არა მხოლოდ მატერიალური შედეგები, არამედ უარყოფითი ემოციური განცდებიც, რომელთა კვალი ან ძნელად იშლება ან სულაც გამოუსწორებელია.

საქართველოს სამართლებრივი მართლწესრიგი, მიუხედავად არაერთი სამართლებრივი რეფორმისა, ჯერ კიდევ შეიცავს მრავალ გაუმართავ, არასრულყოფილ, არასრულფასოვან ნორმატიულ აქტებს, რომლებიც, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების მუხრუჭია და, მეორე მხრივ, მათი სუბიექტების მიერ უფლებების ეფექტიანი რეალიზაციის ხელშემშლელი.

2. სამართლებრივი ვაკუუმი

სამართლებრივი ვაკუუმი არის „ცარიელი“, „ღია“ ადგილი სამართლებრივ სისტემაში. სამართლებრივ ვაკუუმად ითვლება ისეთი მდგომარეობა სამართლის რომელიმე სფეროში, როდესაც საერთოდ არ არსებობს ამა თუ იმ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის საკანონმდებლო რეგულირება. ამგვარი სამართლებრივი „გაუგებრობა“ შეიძლება გამოიწვიოს: 1. კანონმდებლის უმოქმედობამ და სურვილმა, არ დაარეგულიროს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა, ან მოქმედებამ, რომ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა გაუქმდეს, ან 2. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ რაიმე ისეთი ნორმის გაუქმებამ, რომელიც არეგულირებდა განსაზღვრულ სამართლებრივ სფეროს და რომლის გაუქმების შემდგომაც კანონმდებელმა ეს უკანასკნელი ახლებურად აღარ დაარეგულირა.

საქართველოს სამართლებრივ მართლწესრიგში სამართლებრივი ვაკუუმის თვალსაჩინო მაგალითია მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. სანამ მასში არსებულ „ღია“ ადგილზე ყურადღება გამახვილდებოდა, უნდა აღინიშნოს, რომ „ახალმა კოდექსმა ფუნდამენტურად შეცვალა სისხლის სამართლის სამართალწარმოების პრინციპები, განავითარა შეჯიბრებითი მართლმსაჯულება, სასამართლოს მიანიჭა „არბიტრალური“ ფუნქცია“²⁶, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის უზადო არ არის. მაგალითად: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არც ერთი მუხლი არ შეიცავს სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესში უცხოელი ადვოკატის მონაწილეობის რეგულაციას. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობდა უცხოელი დამცველის სამართლებრივ მდგომარეობას, სანამ პარლამენტის მიერ ის გაუქმებული, ამოღებული არ იქნა. სტატიაში სამართლებრივი ვაკუუმის განხილვა სწორედ ამ მაგალითზე დაყრდნობით წარიმართება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 19 აპრილს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა მოქალაქე ვლადიმერ ვახანიამ და მოითხოვა 2009 წლის 19 ივნისის „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ სადავო ნორმის საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით ხორციელდებოდა არსებულის გაუქმება და არ იქმნებოდა ახალი ნორმატიული რეგულირება, კერძოდ: ამ ცვლილებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან ამოღებულ იქნა 78-ე მუხლის მე-5 ნაწილი („საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, დამცველად შეიძლება დაშვებულ იქნენ უცხოელი ადვოკატები“)²⁷. მოსარჩელე თვლიდა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული მოქმედება არღვევდა მის კონსტიტუციურ უფლებას, რომელიც დეკლარირებულია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტში („დაცვის უფლება გარანტირებულია“) და, უფრო მეტიც, მისი განმარ-

²⁶ იხ. გ. ბურჯანაძე, პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძველები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, რედ.-კ. კორკელია, 2012, გვ. 46.

²⁷ იხ. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (ძალადაკარგულია, 09.10.2009).

ტებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამ მუხლის ამოღება მოხდა პირადად მისთვის დაცვის უფლების შეზღუდვის მიზნით. მისი აზრით, ეს განხორციელდა მის საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის სახელზე განცხადების შეტანის შემდეგ, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციის გამოვლინებას მოსარჩელის პოლიტიკური შეხედულებების გამო.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე განსახილველი საქმიდან გამომდინარე, წამოიჭრა შემდეგი ორი საკითხი: 1. წარმოადგენდა თუ არა, მატერიალური შინაარსით, დამოუკიდებელ ნორმატიულ აქტს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შემტანი აქტი კონსტიტუციური სამართალწარმოების მიზნებისათვის; 2. საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნდა თუ არა უფლებამოსილება, განეხორციელებინა საკონსტიტუციო კონტროლი იმ შემთხვევაში, როდესაც უფლების სავარაუდო დარღვევა შესაძლოა უკავშირდებოდეს საკანონმდებლო რეგულაციის გაუქმებას, ამოღებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის ნორმატიულ-სამართლებრივ ბუნებაზე მსჯელობა განავითარა ორი მიმართულებით და მიმოიხილა ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონის როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური მხარე.

ფორმალური თვალსაზრისით მსჯელობისას სასამართლომ მიიჩნია, რომ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონი წარმოადგენს ძირითადი აქტის თანაბარმნიშვნელოვან, ეკვივალენტურ აქტს, ვინაიდან მისი მიღება ხორციელდება იმ კანონის მიღებისთვის დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომელშიც მას შეაქვს ცვლილება. სასამართლოს აზრით, ამგვარი სამართლებრივი რეგულაცია ემსახურება კანონის უზენაესობის პრინციპის განმტკიცებას²⁸.

მატერიალური ასპექტის განსაზღვრისას საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონი იმ ნორმატიული აქტის (ძირითადი კანონის) განუყოფელი ნაწილია, რომელშიც მას შეაქვს ცვლილება ან დამატება. აქედან გამომდინარე, სასამართლო მოკლებულია უნარს, განიხილოს ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონი ძირითადი ნორმატიული აქტისგან იზოლირებულად, გამიჯნულად, რადგან შესაბამისი ცვლილება ან დამატება კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან იწვევს ძირითად აქტში შეცვლილ რეგულაციას და ხდება მისი შემადგენელი, ინტეგრირებული ნაწილი²⁹. სასამართლოს მოსაზრებით, ამ შემთხვევაში მოცემული აქტი მატერიალური შინაარსით ვერ იქნება მსჯელობის საგანი, თუმცა მან განჩინებაზე მიუთითა ის შემთხვევებიც, როდესაც ცვლილებების და დამატებების შესახებ კანონი განიხილება ძირითადისგან დამოუკიდებლად³⁰.

²⁸ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/494 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, მე-6 პუნქტი.

²⁹ იქვე. მე-7 პუნქტი.

³⁰ იქვე. მე-8 პუნქტი, მავალითად: 1. ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონში მოცემული რაიმე რეგულირების გადატანა (ინტეგრირება) არ ხდება სხვა (ძირითად) ნორმატიულ აქტში და იგი არსებობას აგრძელებს დამოუკიდებლად. ამ შემთხვევაში იგი შესაძლებელია გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. 2. ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონი დამოუკიდებელი შეფასების საგანი შეიძლება იყოს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან ფორმალური კუთხით შესაბამისობის საკითხს.

საკონსტიტუციო სასამართლომ განჩინებაში ამავედროულად პასუხის გაცემა მეორე საკითხს, თუ რამდენად წარმოადგენდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-5 ნაწილის რედაქცია (რომელიც ჩამოყალიბდა მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად) მოქმედ ნორმას საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისათვის. სასამართლომ დაადგინა, რომ, უპირველეს ყოვლისა, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისათვის სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის ნორმატიულობას განსაზღვრავს მისი მატერიალური შინაარსი, ის აუცილებლად უნდა შეიცავდეს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. აღნიშნული საფუძვლით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოქმედი რედაქცია „ამოღებულია“ არ მიიჩნია ნორმატიული შინაარსის შემცველად და მოსარჩელეს უარი განუცხადა კონსტიტუციური სარჩელის მიღებაზე³¹.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რილი სამართლებრივი „სიტყვიერის“ შევსებაში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის ნორმატიულობაზე ეფუძნება საქართველოს კანონში „ნორმატიული აქტების შესახებ“ არსებულ დებულებებს. სასამართლომ სადავო აქტის ნორმატიულ-სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისას უნდა განიხილოს მისი ფორმალური და მატერიალური მახასიათებლები.

სადავო აქტის ფორმალური შემოწმება, თავის მხრივ, 2 ელემენტისაგან შედგება: 1. უწინარესად, უნდა გაირკვეს ნორმის სტატუსი და 2. უნდა დადგინდეს სადავო აქტის მიმღები ორგანოს უფლებამოსილება. მოცემულ საქმეში სადავო ნორმა არის „საქართველოს კანონი“, რომელიც გამოცემულია საქართველოს პარლამენტის მიერ. თანახმად საქართველოს კანონისა „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის ნორმატიული აქტია, იგი შესაძლებელია მიღებულ იქნეს საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე³². აღნიშნული ცხადყოფს, რომ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ფორმალური თვალსაზრისით არის ნორმატიული აქტი და ამ ნიშნით სადავო ნორმის არსებითად განსახილველად მიღების პრობლემა არ არსებობდა.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ სადავო ნორმა ფორმალური ნიშნით ნორმატიულ აქტს წარმოადგენს, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ის საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის ნორმატიულ აქტად ჩაითვალოს. საქართველოს კანონი „საქართველოს“

³¹ იქვე. მე-9 და მე-10 პუნქტები.

³² იხ. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტი.

ველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, იმავდროულად, უნდა შეფასდეს შინაარსობრივი კუთხით. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, იგი სადავო ნორმის ნორმატიულ-სამართლებრივ ბუნებას აფასებს არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ მატერიალურადაც. მატერიალური თვალსაზრისით ნორმატიულ აქტს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. ნორმატიული აქტი შესასრულებლად სავალდებულოა;
2. შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს;
3. ნორმატიული აქტი ქმნის სამართლებრივ წესრიგს და იწვევს მასში განსაზღვრული ქცევის აუცილებლობას;
4. იგი აწესებს პირობებს და გარემოებებს, რომელთა არსებობისას ან არარსებობისას გარკვეული ქმედება აკრძალულ ან დაშვებულ ქმედებად შეფასდება³³.

თვალსაჩინოა, რომ საქართველოს კანონს „ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ არ ახასიათებს ჩამოთვლილი თვისებები და აქედან გამომდინარე ის არ შეიძლება შეფასდეს ისეთ დამოუკიდებელ ნორმატიულ აქტად, რომელზეც საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითი განხილვის ეტაპზე მსჯელობა შეეძლება. სადავო ნორმა ასეთად იქცევა მხოლოდ მაშინ, თუ ის შინაარსობრივად ძირითად კანონთან ერთობლიობაში იქნება აღქმული³⁴. როგორც აღინიშნა, სასარჩელო მოთხოვნას ამ კონკრეტულ საქმეზე წარმოადგენდა საქართველოს კანონის „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ პირველი მუხლის გაუქმება და საკონსტიტუციო სასამართლო მას ვერ განიხილავდა განცალკევებულად. იმ შემთხვევაშიც კი, საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველად რომ მიეღო სადავო ნორმა, დაედგინა უფლების დარღვევა და იგი გაუქმებინა, მოქმედი ნორმატიული აქტის გაუქმებით მაინც ვერ აღდგებოდა ძველი ნორმატიული აქტის მოქმედება³⁵.

ცალსახაა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სარჩელის არმიღების საკითხი კანონის უზენაესობის პრინციპის საფუძველზე გადაწყვიტა, რაც რასაკვირველია მართებულია. თუმცა, როგორც იტყვიან, მედალს ორი მხარე აქვს, ამ განჩინებით პასუხგაუცემელი დარჩა კითხვა, რომელიც ეხება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში უცხოელი ადვოკატის მონაწილეობას. დღესდღეობით რთული დასადგენია საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების აღნიშნული გადაწყვეტილება ტაქტიკური ნაბიჯი იყო თუ ამ საკითხის პოლიტიკურ-სამართლებრივი ღრმა ანალიზის შედეგი, თუმცა ამას სტატიის მიზნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არჩევანი უნდა გაეკეთებინა ორ სამართლებრივ დილემას შორის: 1. არ მიეღო არარსებული ნორმა და განჩინებაში ემსჯელა

³³ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 ნოემბრის N1/6/436 განჩინება საქმეზე „შპს „კავკასუს ონლაინ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, მე-2, მე-3, მე-5 და მე-6 პარაგრაფები.

³⁴ იხ. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი.

³⁵ იქვე. 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

სამართლებრივი ვაკუუმის პრობლემაზე ან 2. არ მიეღო არარსებული ნორმა და განჩინებაში არ ემსჯელა სამართლებრივ „სიცარიელეზე“. ამ თვალსაწიერიდან ივარაუდება, რომ სასამართლომ მეორეს სასარგებლოდ არჩევანი საკუთარი უფლებამოსილების შესაძლო გადაჭარბების თავიდან აცილების მიზნით გააკეთა. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მიზანშეწონილი და უპრიანი იქნებოდა, თუ სასამართლო განჩინებაში მიმოიხილავდა სამართლებრივად მოუწესრიგებელ ვითარებას და საზოგადოებას შესთავაზებდა ამ პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალურ გამოსავალს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოსათვის საკანონმდებლო ხელისუფლების მინიჭება, უფლებამოსილების გარდა, მოიაზრებს მრავალ ვალდებულებას. პარლამენტი ვალდებულია, საკანონმდებლო ხელისუფლება განახორციელოს არათუ რეალობისგან, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პროცესებისგან იზოლირებულად, გამიჯნულად, არამედ პირიქით, მათში არსებული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, რათა საფრთხე არ შეექმნას სამართლებრივი წესრიგის სრულყოფილებას. კონსტიტუციის მიხედვით, რადგანაც საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება მხოლოდ მისი პრეროგატივაა, მას ამ შემთხვევაში სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილით შეიძლება მითითებოდა იმ მოუწესრიგებელ სამართლებრივ ურთიერთობაზე, რომლის რეგულირების აუცილებლობაც რეალობიდან მომდინარეობს და რომელზედაც საკონსტიტუციო სასამართლოზე უკეთესად ვერავინ მიუთითებს.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ნეგატიური კანონმდებელია³⁶. რაც გამოიხატება ანტიკონსტიტუციური ნორმების „განადგურებაში“. შაიოს აზრით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოება კანონთა მხოლოდ ბათილად გამოცხადებას ან მათი კონსტიტუციურობის დადგენას როდი გულისხმობს, სასამართლოებს შეუძლიათ აგრეთვე განსაზღვრონ, თუ როგორი უნდა იყოს მისაღები კანონი ფორმის თვალსაზრისით ან, უბრალოდ, მზა გადაწყვეტილება მიუთითონ ისეთი ფორმით, რომელიც შემდგომ საკანონმდებლო ჩარევას აღარ საჭიროებს, რაკი დადგენილია კონსტიტუციური სამართლებრივი მოთხოვნები“³⁷. ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, პარლამენტისათვის, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის ფორმის თვალსაზრისით, მზა გადაწყვეტილების მითითება თავისთავად საკამათოა. თუმცა უდავოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ხელთ უპყრია რეალური კონსტიტუციური ბერკეტი, ის, სასამართლო აქტებით, უფლებამოსილია საკანონმდებლო ორგანოს მიუთითოს სამართლებრივი ვაკუუმის აღმოფხვრისაკენ (შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისკენ) და საკანონმდებლო ხელისუფლებაში ჩარევის გარეშე მოახდინოს „გამქრალი“ სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმის რეანიმაცია.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე³⁸. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი აქტია განჩინება, რომელიც მიიღება ორგანული კანონით, მკა-

³⁶ იხ. ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, 2007, გვ. 61; ასევე შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, 2003, გვ. 292.

³⁷ იხ. შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, 2003, გვ. 292.

³⁸ იხ. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ფიოდ განსაზღვრულ შემთხვევებში³⁹. სასამართლოს შეეძლო განჩინების სამოტივაციო ნაწილში ემსჯელა⁴⁰. მიმოხილა განსახილველ საქმესთან დაკავშირებული სამართლებრივი ვაკუუმი და კონსტიტუციური მართლწესრიგის სრულყოფილების უზრუნველსაყოფად პარლამენტისთვის მიეცა რეკომენდაცია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნება მიეცა/დაეშვა ან ნება არ მიეცა/არ დაეშვა უცხოელი ადვოკატის მონაწილეობა. აღნიშნული სრულიად არ ნიშნავს სასამართლოს სამართალშემოქმედებით საქმიანობაში ჩარევას, რადგან საკონსტიტუციო სასამართლო მითითებას განახორციელებდა არა შესაქმნელი ნორმის შინაარსზე, არამედ მხოლოდ ასეთი სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებობაზე.

სამართლებრივი წესრიგის სრულყოფილება ხელისუფლების ყველა შტოს ვალდებულებაა. ისინი ამას განსხვავებულად, მათი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის თანახმად, საკანონმდებლო ხელისუფლება ქმნის საკანონმდებლო აქტებს (სამართლებრივი წესრიგის სრულყოფა სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებით), აღმასრულებელი ხელისუფლება უზრუნველყოფს მათ აღსრულებას და ამის საფუძველზე გამოსცემს კანონქვემდებარე აქტებს (სამართლებრივი წესრიგის სრულყოფა აღსრულებით)⁴¹, საერთო სასამართლოები საკანონმდებლო აქტების საფუძველზე ახორციელებენ მართლმსაჯულებას (სამართლებრივი წესრიგის სრულყოფას უზრუნველყოფს ნორმის განმარტებით – ნორმის სწორად განმარტების გარეშე სამართლებრივი წესრიგი არაერთგვაროვანი და ორაზროვანია). საკონსტიტუციო სასამართლოს, ხელისუფლების სხვა ინსტიტუტებთან შედარებით, სამართლებრივი წესრიგის სრულყოფილების განსხვავებული ფუნქცია აკისრია⁴². მის კომპეტენციას მიეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლით დადგენილ შემთხვევებში ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმება. მათი არაკონსტიტუციურობის დადგენის შემთხვევაში, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი კარგავს იურიდიულ ძალას⁴³. აქედან გამომდინარე, სამართლებრივი წესრიგის სრულყოფილების მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სამართალშემოქმედებით საქმიანობას უწევს განსაკუთრებულ კონტროლს. შესაბამისად, მიუხედავად ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების შედეგისა, მას აქვს უფლება, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შეახსენოს მათი ვალდებულება, (სამართლებრივი წესრიგის სრულყოფა) და მიუთითოს მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებაზე და არა ამ სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმის შინაარსზე.

³⁹ იხ. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-5 და 5¹ პუნქტები.

⁴⁰ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არსებობს გადაწყვეტილებები, რომელშიც ის პარლამენტს პირდაპირ აძლევს „რჩევებს“, მაგალითად: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 18 მაისის N1/10/242 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“.

⁴¹ აღმასრულებელი ხელისუფლება სამართლებრივ წესრიგს სრულყოფს საკანონმდებლო აქტების აღსრულებით – აღსრულებითი ელემენტის გარეშე არ არსებობს სრულყოფილი სამართლებრივი წესრიგი.

⁴² საკონსტიტუციო სასამართლო სამართლებრივ წესრიგს სრულყოფს არაკონსტიტუციური ნორმების გაუქმებით.

⁴³ იხ. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

4. თანამედროვე კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკა ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის კონსტიტუციური მიზნებისათვის შეფასებაზე

თანამედროვე კონსტიტუციური მართლმსაჯულება არაერთგვაროვანი, განსხვავებულია კონსტიტუციური სამართალწარმოების მიზნებისათვის ცვლილებებისა და დამატებების შემტანი კანონის შეფასებისას.

ზოგიერთი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლო ამგვარ კანონს განიხილავს როგორც დამოუკიდებელი შინაარსის მქონე ნორმატიულ აქტს, მათთვის საკმარისია ის გარემოება, რომ ცვლილებებისა და დამატებების შემტანი კანონს იღებს საკანონმდებლო ორგანო იმ აქტისთვის დამახასიათებელი წესით, რომელშიც ხორციელდება ცვლილება ან დამატება, მაგალითად: ლიტვა, სამხრეთ აფრიკა, ხორვატია.

ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების მიზნებისათვის ნებისმიერი აქტი, რომელიც არის კანონი და მიღებულია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ, უნდა ჩაითვალოს ნორმატიულ აქტად. იგი ეჭვგარეშე ექვემდებარება საკონსტიტუციო იუსტიციას (მათ შორის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონი). ლიტვის კონსტიტუციის 102-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს პარლამენტის, პრეზიდენტის, მთავრობის ნორმატიული აქტების შესაბამისობას ლიტვის კონსტიტუციასთან⁴⁴. ანალოგიური შინაარსის ნორმა მიღებულია „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ლიტვის კანონში⁴⁵. აქედან გამომდინარე, ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს კომპეტენცია, განიხილოს იმ კანონის კონსტიტუციურობის საკითხი, რომელიც აუქმებს კონკრეტულ ნორმატიულ აქტში არსებულ რეგულაციას. თუ სასამართლოს სარჩელით მიმართავს სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილი პირი, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს, იმ მოტივით, რომ ეს ნორმა ძირითად კანონში ცვლილებებისა და დამატებების შემტანია და არის მისი შემადგენელი ნაწილი, არ აქვს უფლება, სარჩელის განხილვაზე განაცხადოს უარი. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა საკუთარი კომპეტენცია საკანონმდებლო ხარვეზის განხილვასთან და არა ზოგადად სამართლებრივ ვაკუუმთან მიმართებაში და განაცხადა, რომ მისი არათუ უფლება, არამედ ვალდებულებაც კი არის კანონმდებლობაში ხარვეზის და მისი კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დადგენა⁴⁶. აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არ მოიპოვება ისეთი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის განხილვის ფაქტი, სადაც ცვლილებით ან დამატებით უქმდება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა.

სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს, ლიტვის მსგავსად, გააჩნია ანალოგიური მიდგომა ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის მატერიალურ-შინაარსობრივ ელემენტთან დაკავშირებით. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კონსტიტუციის 172-ე და 167-ე მუხლის

⁴⁴ იხ. ლიტვის კონსტიტუციის 102-ე მუხლი, ვებგვერდზე <http://www3.lrs.lt/home/Konstitucija/Constitution.htm>.

⁴⁵ იხ. ლიტვის კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ვებგვერდზე http://www.lrkt.lt/Documents3_e.html.

⁴⁶ იხ. ვებგვერდზე <http://www.lrkt.lt/dokumentai/2006/d060808.htm>.

მე-5 პუნქტის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების (იგულისხმება ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონი) შესაბამისობას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან⁴⁷. სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული აქვს რამდენიმე გადაწყვეტილება⁴⁸. რაც შეეხება გაუქმებული ნორმის განხილვის და ყოველივე ამით გამოწვეული სამართლებრივი ვაკუუმის განხილვის კომპეტენციას, სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლო ეყრდნობა კონსტიტუციის მეორე თავს, რომელიც ადგენს კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპს და ამ კონცეფციაზე დაყრდნობით იხილავს გაუქმებული ნორმის საფუძველზე შექმნილი სამართლებრივი ურთიერთობის დაურეგულირებლობით გამოწვეული შედეგის (სამართლებრივი ვაკუუმის) კონსტიტუციურობას.

ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონს განიხილავს საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისათვის, რადგან მისთვის რელევანტურია ის საკითხი, თუ რამდენად უნარიანია სასამართლო, განახორციელოს თვით ასეთი აქტის გამოცემა ორგანოზე საკონსტიტუციო კონტროლი. ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილმა პრეზიდენტმა სამართლებრივ ვაკუუმთან და საკანონმდებლო ხარვეზთან დაკავშირებით განავითარა მოსაზრება, რომ „საკონსტიტუციო სასამართლო აღიარებს და ავითარებს კანონის უზენაესობის პრინციპს, როგორც ფუძემდებლური განმარტების სტანდარტს კონსტიტუციური ინტერპრეტაციის დროს. შესაბამისად, ეს წარმოადგენს ისეთ მიზანს, რომელიც კონსტიტუციური ინტერპრეტაციის სპეციფიკურ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს საშუალებას აძლევს, დაადგინოს ნორმის ანტიკონსტიტუციური ხასიათი, რადგან იგი შეიცავს საკანონმდებლო ხარვეზს ისეთი ურთიერთობის რეგულირებისას, რომელიც, მაგალითად, იწვევს ამა თუ იმ ჯგუფის უთანასწორობას ან დისკრიმინაციას. ეს, ჩვენი აზრით, ის უკანასკნელი ზღვარია, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლომ არ შეიძლება გადააბიჯოს, თუნდაც კანონის უზენაესობის მოტივით, რათა არ შეიქრას საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაში. შესაბამისად, ჩვენ ვთვლით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი და მას მართლაც გაუჭირდებოდა – ჩარეულიყო საკანონმდებლო საქმიანობაში თავისი გადაწყვეტილებით მაშინ, როდესაც კანონმდებელმა სრულიად გააუქმა ან გამოტოვა გარკვეული სოციალური ურთიერთობა ან ურთიერთობები, რაც იმას ნიშნავს, რომ აღარ არსებობს სამართლებრივი ნორმა, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო ხარვეზს ან რომელიც უკავშირდება სამართლებრივ ვაკუუმს“⁴⁹.

თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, რომელიც განისაზღვრა ხორვატიის კონსტიტუციის 128-ე მუხლის მე-5 პუნქტში ცვლილებით, გამოიძებნა გამოსავალი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განახორციელოს მონიტორინგი და, საკანონმდებლო ხარვეზის ან სამართლებრივი ვაკუუმის არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია მიაწოდოს, შეატყობინოს (მხოლოდ აცნობოს, მას არ აქვს რაიმე ზეგავლენის განხორციელების უფლება) პარლამენტს.

⁴⁷ იხ. ვებგვერდზე <http://www.info.gov.za/documents/constitution/1996/a108-96.pdf>.

⁴⁸ იხ. Matatiele Municipality and Others v President of the Republic of South Africa and Others [RSA-2006-2-004]; Merafong Demarcation Forum and others v President of the Republic of South Africa and others [RSA-2008-2-009]; Centre for Child Law v Minister for Justice and Constitutional Development and Others (NICRO as Amicus Curiae) [RSA-2009-2-009].

⁴⁹ იხ. The Constitutional Court of the Republic of Croatia in the Protection and Promotion of the Rule of Law, No. 6/01, p.1163.

აღნიშნული ინდიკატორია იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსგან განსხვავებით, თანამედროვე კონსტიტუციური მართლწესრიგი და მართლმსაჯულება იცნობს ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის ძირითადი აქტისგან დიფერენცირებულად განხილვის პრაქტიკას. მაგრამ ნიშანდობლივია ისიც, რომ არსებობს ისეთი ქვეყნებიც, რომელთა მიდგომაც ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იდენტურია, მაგალითად: ჩეხეთი, ნიდერლანდები, პოლონეთი.

ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სამართალწარმოების კანონმდებლობა გაუქმებული სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებას შეუძლებლად მიიჩნევს⁵⁰, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებაუნარიანია, შეამოწმოს კანონები, დადგენილებები და მათი შემადგენელი ნორმები არათუ „გაქრობის“ შემდგომ, არამედ გაუქმების პროცესში⁵¹. ჩეხეთის რესპუბლიკის „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტის“ 67-ე ნაწილის სიტყვასიტყვით, სემიტოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოში საქმის განხილვა უნდა შეჩერდეს, თუ განსახილველ ნორმატიულ აქტს სასამართლოში განხილვის პროცესში იურიდიული ძალა გამოეცლება⁵². აქედან გამომდინარე, ჩეხეთის საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონი ძირითადი კანონისგან დამოუკიდებლად არ აღიქმება. ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო არ განიხილავს საკანონმდებლო ხარვეზებისა თუ შეცდომების კონსტიტუციურობას. თუმცა გადაწყვეტილებათა სამოტივაციო ნაწილში სასამართლო ხშირად განმარტავს თავის გადაწყვეტილებებსა და მითითებებს სამომავლო სამართლებრივი რეგულირების შესახებ. ამასთანავე, სასამართლოს პრაქტიკაში არსებობს გადაწყვეტილებები, როდესაც სასამართლომ წარმოადგინა გამოსავალი საკანონმდებლო ორგანოს უმოქმედობის დროს, რომელიც არღვევდა შესაბამისი სუბიექტების ლეგიტიმურ მოლოდინს⁵³.

სტატიამი განხილული სახელმწიფოებისგან სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა ნიდერლანდების სამეფოში, სადაც კონსტიტუცია არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც სპეციალიზებული ორგანოს არსებობას⁵⁴. ნიდერლანდების სამეფოს კონსტიტუციის 120-ე მუხლის თანახმად, სასამართლოებს არ გააჩნიათ უფლებამოსილება, შეამოწმონ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემული აქტები⁵⁵. აქ მოქმედებს წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლი, სადაც კანონპროექტების კონსტიტუციასთან შესაბამისობას ამოწმებს სახელმწიფო საბჭო⁵⁶. შეიძლება ითქვას, რომ ნიდერლანდების სამეფოში ხორციელდება ნორმატიული აქტების შინაარსობრივი მონიტორინგის წინასწარი საკონსტიტუციო იუსტიცია და ამ პირობებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ გამოქვეყნებულ კანონში საკანონმდებლო ხარვეზის

⁵⁰ იხ. ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 87-ე მუხლი, ვებგვერდზე http://www.usoud.cz/view/czech_constitution.
⁵¹ იხ. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ N.182/1993 აქტის 64-ე მუხლი, ვებგვერდზე http://www.usoud.cz/view/const_court_act.
⁵² იხ. იქვე. 67-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ვებგვერდზე http://www.usoud.cz/view/const_court_act.
⁵³ იხ. ვებგვერდზე <http://www.usoud.cz/view/726>.
⁵⁴ იხ. ნიდერლანდების სამეფოს 1815 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, ვებგვერდზე http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=191759.
⁵⁵ იქვე, კონსტიტუციის 120-ე მუხლი.
⁵⁶ იქვე, კონსტიტუციის 91-ე მუხლი.

ან სამართლებრივი ვაკუუმის არსებობა შეუძლებელია, რადგან მასში ასეთი სამართლებრივი „დეფექტი“ თუ იარსებებდა, ის ვერასდროს „შეიმოსებოდა“ იურიდიულ სამოსელში.

5. სამართლებრივი ვაკუუმი და ადამიანის ძირითადი უფლებები

სტატიის ფარგლებში მნიშვნელოვანია სამართლებრივ ვაკუუმზე მსჯელობა ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებაში, რათა კვლავ წარმოჩინდეს მისი ნეგატივი, უარყოფითი როლი სამართლებრივ მართლწესრიგში. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა TERNOVSKY v. HUNGARY-ის საქმე⁵⁷. სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ევროპული კონვენციის⁵⁸ მე-8 მუხლის⁵⁹ დარღვევის ერთ-ერთ საფუძვლად უნგრეთის კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი ვაკუუმი მიიჩნია.

საქმის გარემოებების მიხედვით, განმცხადებელი იყო ორსულად, რომელმაც გადაწყვიტა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმების მონაწილეობით, ბავშვი გაეჩინა არა სამედიცინო დაწესებულებაში, არამედ სახლში⁶⁰. უნგრეთის კანონმდებლობა პირდაპირ არ კრძალავდა სახლის პირობებში მშობიარობას, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების არარსებობის გამო, პაციენტს სრულყოფილი შესაძლებლობა არ ჰქონდა, საკუთარი არჩევანი (ექიმების მონაწილეობით სახლის პირობებში მშობიარობა) განეხორციელებინა⁶¹. გარდა ამისა, აღნიშნულს ემატებოდა ის ფაქტიც, რომ მთავრობის no. 218/1999 დადგენილების 101-ე მუხლის მე-2 პუნქტით⁶², ექიმები, რომლებიც განახორციელებდნენ პროფესიულ საქმიანობას შესაბამისი ლიცენზიის გარეშე ან განახორციელებდნენ ლიცენზიით დაუდგენელ, გაუთვალისწინებელ მოქმედებებს დაჯარიმდებოდნენ 100 000-მდე ფორინტით⁶³.

შესაბამისად, ექიმები სახლის პირობებში მშობიარობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების არარსებობისა და ამის გამო მოსალოდნელი ადმინისტრაციული სასჯელიდან გამომდინარე, თავს იკავებდნენ პაციენტისათვის პროფესიული დახმარების აღმოჩენისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, პაციენტი იძულებული იყო, ბავშვი გაეჩინა სამედიცინო დაწესებულებაში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უნგრეთის პარლამენტმა 2009 წელს no. CIVIL აქტის 59-ე

⁵⁷ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, TERNOVSKY v. HUNGARY.

⁵⁸ იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (მიღებულია 1950 წლის 4 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს).

⁵⁹ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

⁶⁰ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, TERNOVSKY v. HUNGARY, პარ. 6.

⁶¹ იქვე.

⁶² იქვე. პარ. 9.

⁶³ ფულის ერთეული უნგრეთში.

მუხლის პირველი პუნქტით ცვლილება შეიტანა „ჯანმრთელობის შესახებ“ უნგრეთის კანონის 247-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომელსაც დაემატა V პუნქტი: „სამედიცინო დაწესებულების გარეთ მშობიარობის პროფესიული წესები და პირობები და ის შემთხვევები, რომლებიც გამო-რიცხავს ასეთ მშობიარობას, განისაზღვროს მთავრობის დადგენილებით“⁶⁴. თუმცა მთავრობის მხრიდან ეს უკანასკნელი არ განხორციელებულა.

სასამართლომ წინამდებარე საქმეში განმარტა, რომ „პირადი ცხოვრება“ წარმოადგენს ფართო ცნებას, „inter alia, ის მოიცავს ინდივიდის ფიზიკური და სოციალური თვითშეგნების ასპექტს, რომელიც, თავის მხრივ, შეიცავს პერსონალური ავტონომიის უფლებას, პერსონალური განვითარების უფლებას, სხვა ადამიანებთან და დანარჩენ მსოფლიოსთან კავშირის დამყარებისა და განვითარების უფლებას და ადამიანის უფლებას, გადაწყვიტოს, გახდეს თუ არ გახდეს მშობელი. „თავისუფლების“ ცნება შესაბამისი უფლების სუბიექტებს საშუალებას აძლევს გააკეთონ არჩევანი ამ უფლების გამოყენების ან არგამოყენების თაობაზე. შესაბამისად, უფლება, რომელიც დაკავშირებულია მშობლად ყოფნის ან არყოფნის უფლებასთან, იმთავითვე ითვალისწინებს მშობლის უფლებას, აირჩიოს ის ვითარება და გარემო, სადაც სურს მშობიარობა“⁶⁵. ამ მხრივ, განსაკუთრებით რელევანტურია ის გარემოება, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით, სახლის პირობებსა და სამედიცინო დაწესებულებაში მშობიარობა არის თანაბარი საფრთხისა და რისკის შემცველი. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ აშშ-ში, ბრიტანეთში, ავსტრალიაში, შვედეთსა და ნიდერლანდებში სახლის პირობებსა და ჰოსპიტლების ალტერნატიულ დაწესებულებებში მშობიარობისა და კმაყოფილი პაციენტების რიცხვი საკმაოდ მაღალია⁶⁶. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის აზრით, „ქალისათვის უსაფრთხოა მშობიარობის ის ადგილი, სადაც იგი თავს გრძნობს უსაფრთხოდ“⁶⁷.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ TERNOVSKY v. HUNGARY-ის საქმეში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული სფეროს დარღვევა დაადგინა იმ საფუძვლებიდან გამომდინარე, რომ უნგრეთის კანონმდებლობა სახლის პირობებში მშობიარობასთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, ბუნდოვანი და განუჭვრეტადია და, მეორე მხრივ, მასში ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სამართლებრივი ვაკუუმი.

ა) სასამართლოს აზრით, უნგრეთის კანონმდებლობა ბუნდოვანი და განუჭვრეტადია, რადგან „ჯანმრთელობის შესახებ“ უნგრეთის კანონის მე-15 და მე-20 მუხლები აღიარებენ პაციენტის უფლებას, თვითონ განსაზღვროს, მის მიმართ განხორციელდეს თუ არა სამედიცინო ჩარევა⁶⁸ [ამ საქმესთან მიმართებაში გულისხმობს პაციენტის უფლებას, თავად აირჩიოს მშობიარობის ადგილი – გ. მ.] და, იმავდროულად, მთავრობის no. 218/1999 დადგენილება ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ჯარიმას ექიმებისათვის, თუ ისინი განხორციელებენ მოქმედებას თავიან-

⁶⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე TERNOVSKY v. HUNGARY, პარ. 10.

⁶⁵ იქვე. პარ. 22.

⁶⁶ იქვე. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაცია, პარ. 11.

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ იქვე. პარ. 26; ასევე ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ უნგრეთის სახელმწიფო აღიარებს ამ უფლებას, პარ. 22.

თი კვალიფიკაციის ფარგლებში იმ შემთხვევაში, რომელიც კანონით ან ლიცენზიით პირდაპირ დაუდგენელია. აღნიშნული სახელმწიფოს საშუალებას აძლევს, განახორციელოს თვითნებური მოქმედება და, ზოგიერთ შემთხვევაში, შეხედულებისამებრ დააჯარიმოს ექიმი. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ისიც, რომ ამის ფაქტი არსებობს⁶⁹.

ბ) ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, უნგრეთის კანონმდებლობაში სამართლებრივი ვაკუუმი არსებობს იმდენად, რამდენადაც „ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, no. CIVIL 2009 წლის კანონით, მთავრობას დადგენილებით უნდა განესაზღვრა სამედიცინო დაწესებულების გარეთ მშობიარობის პროფესიული წესები და პირობები [მათ შორის სახლის პირობებში მშობიარობის – გ. მ.] და ის შემთხვევები, რომლებიც გამორიცხავდა ასეთ მშობიარობას. საკანონმდებლო აქტით დადგენილი წესის მთავრობის მიერ განუხორციელებლობამ გამოიწვია სახლის პირობებსა და ჰოსპიტლის ალტერნატიულ დაწესებულებებში მშობიარობასთან დაკავშირებული ურთიერთობების დაურეგულირებლობა და შექმნა სამართლებრივი ვაკუუმი.

საქმეში მნიშვნელოვანია მოსამართლეების შაიოსა და ტულკენსის თანმხვედრი აზრი. „იმ დროს, როდესაც პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ავტონომიური ასპექტი მოიცავს უფლებას, გახდეს თუ არ გახდეს მშობელი, არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ის, იმავდროულად, გულისხმობს იმგვარი პირობების არსებობას, რომ აღნიშნული უფლება ეფექტიანად განხორციელდეს“⁷⁰. მათი მოსაზრებით, მშობლების არჩევანის თავისუფლება საჭიროებს მინიმალურ პოზიტიურ რეგულირებას⁷¹. შაიოსა და ტულკენსის შეხედულებით, ასეთი არჩევანი წარმოადგენდა თავისუფლების გამოხატულებას მე-19 საუკუნეში⁷². „სანამ სახელმწიფო ადამიანის უფლებებში არ ერეოდა, ამ ტიპის პრობლემა არ არსებობდა. თუმცა, სავარაუდოდ, კლასიკური ლიბერალიზმი ვერ „იფუნქციონირებს“ თანამედროვე კეთილდღეობის სახელმწიფოში, განსაკუთრებით, სამედიცინო სფეროში, სადაც პრაქტიკულად ყველაფერი რეგულირდება და სადაც რეგულირება არის სტანდარტი. თანამედროვე პირობებში უსაფრთხოდ და მისაღებად აღიქმება ის, რაც რეგულირებულია. შესაბამისად, უეცრად პოზიტიური რეგულირების არარსებობამ [სახლის პირობებში მშობიარობასთან დაკავშირებული ურთიერთობის არარსებობამ – გ. მ.] განაპირობა ის, რომ უდავოდ არსებული უფლება გახდა უჩვეულო, გაურკვეველი, სადავო, საკამათო“⁷³. მოსამართლეების აზრით, მსოფლიოში, სადაც რეგულირება არის სტანდარტი და მით უფრო მედიცინის სფეროში, შესაბამისი რეგულირების ნაკლებობამ ან არარსებობამ [სამართლებრივმა ვაკუუმმა – გ. მ.] შესაძლებელია ხელი შეუშალოს უფლების განხორციელებას. აღნიშნული წარმოადგენს მრავალთაგან ერთ-ერთ არასასურველ შემთხვევას, რომელიც თან სდევს ზერეგულირებულ სამყაროს⁷⁴.

⁶⁹ იქვე. პარ. 26.

⁷⁰ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე TERNOVSKY v. HUNGARY, მოსამართლეების შაიოსა და ტულკენსის თანმხვედრი აზრი.

⁷¹ იქვე.

⁷² იქვე.

⁷³ იქვე.

⁷⁴ იქვე.

6. საკანონმდებლო ხარვეზი

კანონმდებლობის სისტემა არის მოძრავი წარმონაქმნი, ის ფუნქციონირებს არა მხოლოდ სტატიკაში, არამედ დინამიკაშიც. მით უმეტეს, დღევანდელი სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი სფეროების მზარდი, მოცულობითი, შეუქცევადი განვითარების და სახეცვლილების პირობებში. კანონმდებლობა ერთიანი „ორგანიზმია“, რომელშიც ამოიკითხება ქვეყანაში არსებული სამართლებრივი კულტურა, ღირებულებები, იმანენტური ნიშან-თვისებები და ზოგადსახელმწიფოებრივი მიზნები. საქართველოში ერთობ დამკვიდრებულია ნორმატიული აქტების პერიპეტიული ფორმით ცვლის პრაქტიკა, რაც გარკვეული რისკებისა და საფრთხეების შემცველია სამართლებრივი წესრიგისთვის. ამის არგუმენტად მართოდენ ის კმარა, რომ ქვეყანაში სამართლებრივი ბაზის მასიური და ინტენსიური ცვლა ქმნის სამართლებრივი მართლწესრიგის არასტაბილურობის ფონს.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია საკანონმდებლო ხარვეზის სხვადასხვაგვარი თეორიული განმარტება. ერთ-ერთი თეორიის თანახმად, საკანონმდებლო ხარვეზი არის დისტანცია, დაუკავშირებლობა კანონმდებლის ნებას, ნორმის ობიექტურ ხასიათს და მის ფაქტობრივ მდგომარეობას შორის⁷⁵. მეორე თეორიის მიხედვით კი, საკანონმდებლო ხარვეზი არ არის კანონმდებლის ნებაზე ან მის გადმოცემაზე დამოკიდებული, ის დაკავშირებულია უშუალოდ ნორმის წაკითხვის პრობლემასთან⁷⁶. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული თეორიულ-ფილოსოფიური განმარტებანი არსებითად ერთი და იგივე შედეგამდე მიდიან იმასთან დაკავშირებით, რომ საკანონმდებლო ხარვეზი არის კანონის არასრულყოფილება, ატიპიურობა, რომელიც წარმოიშვა კანონმდებლის ნებისაგან დამოუკიდებლად. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ხშირად რაიმე სოციალური ან სულაც იურიდიული მოვლენის არსზე მსჯელობა არ საჭიროებს ფილოსოფიურ ლაბირინთებში წიაღსვლებს და დაუსრულებელ მეცნიერულ დისკუსიებს, რადგან არსებობს ფაქტი, რომელიც ყველაფერზე მეტყველებს. ამ შემთხვევაშიც, მართებულია საკანონმდებლო ხარვეზის არა თეორიის დონეზე, არამედ არსებული ვითარების საფუძველზე განხილვა.

ნორმატიულ აქტებში ხარვეზი არსებობს ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისით. ფორმალურ ხარვეზს ადგილი აქვს, თუ

1. დარღვეულია ნორმატიული აქტის სტრუქტურა, კერძოდ: ა) ის არ შეიცავს ძირითად ნაწილს ან/და დასკვნით დებულებებს; ბ) სპეციალური ნორმები წინ უსწრებს ზოგად ნორმებს; გ) ნორმატიულ აქტში არ არსებობს კარების (წიგნების), თავების, მუხლების, პუნქტების (ნაწილების) ნუმერაცია ან თუ არსებობს, დარღვეულია თანამიმდევრობა; დ) მასში დარღვეულია ქვეპუნქტების ანბანური თანამიმდევრობის უწყვეტობა; ე) თავს და კარს სათაური არ გააჩნია⁷⁷.

⁷⁵ იხ. Jestaedt M., *Wie das Recht, so die Auslegung*, ZZR 55 (2000), S. 155.

⁷⁶ იხ. Larenz, *შ.* 372.

⁷⁷ იხ. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი.

2. ნორმატიულ აქტს არ გააჩნია რეკვიზიტები, კერძოდ: ა) ნორმატიული აქტის სახე; ბ) ნორმატიული აქტის სათაური; გ) ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი; დ) ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი და აქტის მოქმედების ვადა (თუ განსაზღვრულია მისი მოქმედების ვადა); ე) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა; ვ) ნორმატიული აქტის მიმღები ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი; ზ) საქართველოს სახელმწიფო გერბი⁷⁸.
3. ნორმატიულ აქტში დარღვეულია ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის წესი: ა) ნორმატიულ აქტში ცვლილებები ან/და დამატებები განხორციელდა სხვა სახის ნორმატიული აქტით; ბ) ნორმატიული აქტის ცვლილებების მომზადება, მიღება (გამოცემა) და ძალაში შესვლა არ განხორციელდა იმ ნორმატიული აქტის მომზადების, მიღების და ამოქმედებისთვის დადგენილი წესით, რომელშიც შეიტანება ცვლილება⁷⁹.

ნორმატიული აქტის მატერიალური ხარვეზის არსებობის დროს, მართალია, დაცულია ფორმალური მოთხოვნები, თუმცა იგი შინაარსობრივად ეწინააღმდეგება „საკუთარ თავს“ (კოლიზია ერთ ნორმატიულ აქტში არსებულ ნორმებს შორის) ან მასზე მაღალი რანგის მქონე სამართლებრივი აქტის ნორმებს⁸⁰. გარდა ამისა, მატერიალურ-სამართლებრივ ხარვეზს ადგილი შეიძლება ჰქონდეს მაშინაც, როდესაც ნორმატიული აქტი, მისი შექმნის მიზნიდან გამომდინარე, სრულყოფილად ვერ არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს.

მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ხარვეზის გამიჯვნა სამართლებრივი ვაკუუმისგან, ხარვეზული ნორმა არასრულყოფილად მაინც აწესრიგებს რაიმე სამართლებრივ ურთიერთობას, მაშინ როცა სამართლებრივი ვაკუუმი საერთოდ არ შეიცავს კონკრეტული სამართლებრივი საკითხის რეგულაციას. ამასთანავე, საკანონმდებლო ხარვეზი განსხვავდება სამართლებრივი ხარვეზისაგან. სამართლებრივი ხარვეზი უფრო მოცულობითი, მასშტაბურია და იგი რომელიმე სამართლებრივი სფეროს არასრულყოფილებას იწვევს. აუცილებელია საკანონმდებლო ხარვეზისა და კანონმდებლის სამართლებრივ-პოლიტიკური „შეცდომის“ დიფერენცირება. ამგვარი შეცდომა არსებობს, მაშინ როცა პარლამენტმა ერთი ან რამდენიმე ნორმა ან რეგულაციათა „ნაკრები“ ამოიღო მართლწესრიგიდან და ამ ქმედებას ნორმატიული აქტის ნაკლოვანებები მოჰყვა⁸¹. კანონმდებლის ასეთი სამართლებრივ-პოლიტიკური შეცდომა შეიძლება გამოწვეული იყოს საზოგადოებაში რაიმე მდგომარეობის ცვლილებით. მაგალითად, როდესაც წარსულში კანონმდებლის მიერ განსაზღვრული ნორმების ამოღება თვით კანონითვე იყო ნაკარნახევი, მაგრამ შემდეგ ამ ნორმების თუ ქცევის წესების არსებობის აუცილებლობა კვლავ წარმოიშვა საზოგადოებრივი

⁷⁸ იქვე. მე-18 მუხლი.

⁷⁹ იქვე. მე-20 მუხლი.

⁸⁰ ამ შემთხვევაში სამართლებრივი მართლწესრიგი ითვალისწინებს გამოსავალს და სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება მაღალი რანგის სამართლებრივი აქტით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, მაღალი რანგის სამართლებრივი აქტები, ხშირ შემთხვევაში, გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირებასთან მიმართებაში შეიცავენ რანგით დაბალი აქტის გამოცემის ან მიღების დათქმას (არსებობს რისკი, რომ დასარეგულირებელ სამართლებრივ ურთიერთობას სრულყოფილად, დეტალურად ვერ მოაწესრიგებს მაღალი რანგის აქტი) და, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სამართლებრივი მართლწესრიგის უფუნქციო, გამოუსადეგარი სამართლებრივი აქტებით გაჯერება, გადატვირთვა არ არის მართებული. იგი უდავოდ წარმოადგენს დესტრუქციულ ფაქტორს ნორმის აღრესატებისათვის. გარდა ამისა, სამართლებრივ სივრცეში ალოგიკურია იმგვარი სამართლებრივი აქტების არსებობა, რომლებიც შინაარსობრივი ხარვეზის გამო არ გამოიყენებიან სამართლებრივ ურთიერთობებში.

⁸¹ იხ. K. Larenz, S. 374; K. Larenz/C.-W. Canaris, S. 194.

მდგომარეობის შეცვლიდან გამომდინარე, ან კანონმდებელმა არასწორად შეაფასა სიტუაცია და ნორმების ანულირებამ არ მოიტანა პროგნოზირებული პრაგმატული შედეგი. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სამართლებრივ-პოლიტიკური შეცდომა ისევ საკანონმდებლო გადაწყვეტილების მიღებით, უშუალოდ კანონმდებლის „ხელით“ უნდა გასწორდეს.

როგორც აღინიშნა, პარლამენტისათვის კანონშემოქმედებითი საქმიანობის უფლებამოსილების მინიჭება არ არის მხოლოდ უფლება, იგი თავის თავში მოიაზრებს უამრავ ვალდებულებას. კანონშემოქმედებითი საქმიანობა არ არის მარტო კანონის კენჭისყრა და მისი მიღება, იგი გაცილებით ფართო პროცესია და გულისხმობს კანონთა „სულში წვდომას“⁸². „არც ერთი ქცევის წესი, სამართლის ნორმა არ იქნება კანონი, თუ მან არ გაიარა აზროვნების, შეფასების, კანონმდებლის ნების ფილტრი და არ გახდა მისი უშუალო მოქმედების ობიექტი. ამ პროცესს კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში საკანონმდებლო პროცესს უწოდებენ, რაც, თავისთავად, მოიცავს საკანონმდებლო პროცედურების მთელ სისტემას“⁸³. „კანონშემოქმედება“ და „საკანონმდებლო პროცესი“, ერთი შეხედვით, თითქოსდა იდენტური ცნებებია, თუმცა აუცილებელია ამ ორი ცნების განსხვავება. „საკანონმდებლო პროცესი“ განეკუთვნება წმინდა იურიდიულ კატეგორიას, „კანონშემოქმედება“ კი – ზოგადსოციალურ კატეგორიას⁸⁴.

სამართლებრივი ვაკუუმისა და საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრის პროცესში შესაძლებელია გარკვეული ფორმით მონაწილეობდეს ამისათვის უფლებამოსილების არმქონე სუბიექტი⁸⁵, თუმცა ეს მისი უფლებაა. რაც შეეხება პარლამენტს, ეს უკანასკნელი არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიც კი არის, განახორციელოს სამართლებრივი პროცედურები და სამართლებრივი ვაკუუმისა და საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, შეასრულოს რეგლამენტით დადგენილი ღონისძიებები. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია რეგლამენტში არსებული დებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ ნორმატიულ აქტებში დამატებების განხორციელებას იმ საფუძველზე, რომ ისინი არ აწესრიგებენ ახლად წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს ან შეიცავენ ისეთ ხარვეზებს, რომელთა აღმოსაფხვრელადაც აუცილებელია ცვლილება⁸⁶. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კომიტეტებს მათ გამგებლობას მიკუთვნებული დარგების მიხედვით ეკისრებათ ვალდებულება, შეისწავლონ და გააანალიზონ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობა, მიიღონ ზომები მისი შესრულების უზრუნველსაყოფად, საკანონმდებლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მოამზადონ წინადადებები კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანის შესახებ⁸⁷.

⁸² იხ. ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, 2007, გვ. 61.

⁸³ იხ. პ. ცნობილაძე, გ. ხუბუა, ვ. ხმალაძე, ნ. მეტრეველი, ო.კაპანაძე, როგორ იქმნება კანონი, 2000, გვ. 49.

⁸⁴ საკანონმდებლო პროცესი როგორც საქმიანობა მიმდინარეობს კონსტიტუციებით, კანონებითა და პარლამენტის რეგლამენტებით დადგენილი ფორმებით, გარდა ამისა, მას ახორციელებენ პირები, რომლებთაც ამის უფლებამოსილება გააჩნიათ. კანონშემოქმედება კი თავისთავად მოიცავს საქმიანობას, რომელიც „შესაძლებელია სამართლის მეშვეობით არც კი იყოს მოწესრიგებული და არ ამოიწურებოდეს საკუთრივ კანონის შექმნით“. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ასეთ საქმიანობაში მონაწილეობენ ისეთი სუბიექტებიც, რომლებსაც საკანონმდებლო საქმიანობაში არანაირი სპეციალური უფლებამოსილება არ გააჩნიათ. დეტალურად იხ. იქვე, გვ. 50.

⁸⁵ კანონშემოქმედების [ე.წ. წინა საკანონმდებლო პროცესი] სუბიექტები (ორგანიზაციები, კერძო პირები), რომლებიც დაინტერესებული არიან იმით, რომ გამოვლინდეს კანონის მიღების აუცილებლობა.

⁸⁶ იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 146-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები.

⁸⁷ იქვე. 46-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო არის პასუხისმგებელი საკუთარი „პროდუქციის“ ხარისხზე. უთუოა, რომ პარლამენტი ვალდებულია, საკანონმდებლო საქმიანობა განახორციელოს სამართლებრივი აქტების „გაჯანსაღების“ კუთხით და საკუთარი პასუხისმგებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს არ უნდა დააკისროს.

6. დასკვნა

სტატიაში იყო მცდელობა, წარმოჩენილიყო თითქოსდა, ერთი შეხედვით, არააქტუალური, თუმცა სამართლებრივი წესრიგისათვის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც თავიანთი არსებობით საზოგადოებაში სამართლებრივ სისტემასთან, კანონმდებლობასთან მიმართებაში ნიჰილიზმს განაპირობებენ. საქართველოს სამართლებრივი აქტების „ხარისხის“ მიმართ ინდიფერენტული დამოკიდებულება, მით უმეტეს, დღევანდელი მრავალი ნორმატიული კონგლომერატის ფუნქციონირების გათვალისწინებით, არის „ჩიხი“, სადაც მთავრდება ევროპული და დასავლური ცივილიზაციისკენ მიმავალი გზა. დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები მოითხოვენ „ჯანმრთელ“ სამართლებრივ წესრიგს, რაც მიღწევადია სამართალშემოქმედების მიმართ ალტრუისტული დამოკიდებულებით, რეალური ცვლილებების გატარებით, პოლიტიკური პლატფორმისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების არალრევით, არგაივივებით. სამართლებრივი მართლწესრიგი საჭიროებს მუდმივ დაკვირვებას, თვალყურის დევნებას, ოპერირებას, რათა არ დაიკარგოს ის წარმატებები, რაც განვლილმა წლებმა მოიტანა.